Lightwood

ნენსი სპრინგერი
ცაცია გოგონას საქმე
ენოლა ჰოლმსის უჩვეულო თავგადასავლები

Nancy Springer
THE CASE OF THE LEFT-HANDED LADY
AN ENOLA HOLMES MYSTERY

ინგლისურიდან თარგმნა ია სისაურმა

პროექტის ხელმძღვანელი: ნინო ზაზარაშვილი
რედაქტორი: ლალი ქადაგიძე
ყდის დიზაინერი: ზიზი ნიშნიანიძე
დამკაბადონებელი: ნინო გურული

© Nancy Springer, 2007
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-938-5

www.diogene.ge

ნენსი სპრინგერი

ენოლა ჰოლმსის უჩვეულო თავგადასავლები

ცაცია გოგონას საქმე

მივხვდი, რომ ვკვდებოდი...

გზა სწრაფად განვაგრძე. სიცივისა და შიშისაგან ახლა მეც ერთიანად ვკანკალებდი, თან სმენად ვიყავი ქცეული.

ფიქრებმა ყურადღება ისე გამიფანტა, რომ საფრთხის მოახლოება ძალზე გვიან ვიგრძენი.

ზუსტად ვერ ვიტყვი, რის ხმა გავიგონე – ფეხქვეშ გასრესილი გაყინული ტალახისა თუ ავი ქშენის, მაგრამ როგორც კი დასაყვირებლად პირი გავაღე და გაქცევა დავაპირე, ყელზე რაღაც შემომეჭდო.

ზურგიდან ვიღაც უხილავი მომპარვოდა.

ის ვიღაც საშინლად ძლიერი იყო.

და სულ უფრო ულმობლად მიჭერდა.

ეს ადამიანის ხელი კი არა, რაღაც საბედისწერო მარწუხი იყო, რომელიც მახრჩობელა გველივით შემომხვეოდა და კანში სულ უფრო ღრმად

მესობოდა. ფიქრის უნარი წამერთვა და ხანჯლის ამოღებაც კი არ მიცდია. მხოლოდ ფარანი დავაგდე და ორივე ხელით ამ რაღაც მახრჩობელას ჩავაფრინდი, მაგრამ ნელ-ნელა სუნთქვა შემეკრა, სხეული ტკივილისგან დამეკლაკნა, ყვირილის ნაცვლად უმწეო ხავილი აღმომხდა. თვალთ დამიბნელდა და მივხვდი, რომ ვკვდებოდი.

ეძღვნება დედას – ნ. ს.

ლონდონი
1889 წლის იანვარი

– პანსიონში ძალით რომ არ გაგეგზავნა, ამ სავალალო მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით! – კლუბის პატარა ოთახში საყვედურნარევი ხმა გაისმა. მკვეთრნაკვთებიანი და ძალზე გამხდარი ახალგაზრდა კაცი ოთახში ბოლთას სცემდა. პრიალა შავი ჩექმები, ამავე ფერის შარვალი და ფრაკი ეცვა, რის გამოც შავ ყანჩას მოგაგონებდათ.

– ძვირფასო ძმაო, ასეთი გულისწყრომა არ გჩვეოდა, – გაკვირვებისგან თანამოსაუბრემ გაბუჩქული წარბები მაღლა აზიდა. შედარებით ასაკოვანი, მოსუქებული მამაკაცი ტყავის სავარძელში მოკალათებულიყო და რადგან კლუბის ყველაზე განცალკევებულ ოთახში იმყოფებოდა, ბრალდებას აუღელვებლად შეხვდა. თანაც საცაა შესანიშნავ როსტბიფს შემოიტანდნენ და სასიამოვნო მოლოდინში უმცროს ძმას რბილად მიმართა:

– გეთანხმები, რომ ეს სულელი გოგო ახლა მარტო დაეხეტება ამ უზარმაზარ ქალაქში და, ალბათ, უკვე გაძარცვეს კიდეც ან კიდევ უარესი... მაგრამ, მგონი, არ ღირს ამის გამო ასე აღელვება.

– არ ღირს? – ახალგაზრდა მამაკაცი შემობრუნდა და ძმას ქორისებრი მზერა ესროლა. – ის ხომ ჩვენი დაა!

– კი, ბატონო! მეორე გაუჩინარებული ქალი კი დედაჩვენია! და რა ვქნათ? დამწყვდეული მწევარივით წრიალი მის პოვნაში როგორ დაგვეხმარება? და თუ მაინცდამაინც დამნაშავეს ეძებ, მაშინ სწორედ დედაა ის ადამიანი, ვისკენაც შენი მრისხანება უნდა მიმართო, – დაამატა სავარძელში მჯდომმა მამაკაცმა, აბრეშუმის ჟილეტის ბალიშივით რბილ ზედაპირზე ხელები გადაიჯვარედინა და როგორც ჭეშმარიტ ლოგიკოსს შეეფერებოდა, მაშინვე არგუმენტების ჩამოთვლაზე გადავიდა:

– დედას ჩვენი და თავის ნებაზე ჰყავდა მიშვებული და უფლებას აძლევდა, შარვალი ჩაეცვა და ველოსიპედი ეტარებინა, ნაცვლად იმისა, რომ მისი მანერების დახვეწაზე ეზრუნა. წარმოიდგინე, მთელ დღეებს რაღაც ყვავილების ხატვაში ატა-

რებდა, ამ დროს კი ჩვენი და ხეებზე დაძვრებოდა. უფრო მეტიც, მან ის ფულიც კი გაანიავა, რომელიც აღმზრდელს, ცეკვის მასწავლებელს, რიგიან კაბებსა და გოგოს სხვა საჭიროებებს უნდა მოხმარებოდა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი დაც ხომ სწორედ მან მიატოვა!

– თანაც ბავშვის მეთოთხმეტე დაბადების დღეზე, – წაიბუტბუტა მეორე მამაკაცმა, რომელიც ბოლთის ცემას განაგრძობდა.

– რა მნიშვნელობა აქვს, დაბადების დღე იყო თუ სხვა რომელიმე დღე? – გაღიზიანდა უფროსი ძმა, რადგან ამ თემაზე ლაპარაკი უკვე მობეზრდა. – დედამ უარი თქვა პასუხისმგებლობაზე და საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ბოლოს იძულებული გახდა, გაქცეულიყო...

– შემდეგ უცბად შენ ჩნდები და საწყალ გოგოს შენს ჭკუაზე სიარულს აიძულებ! რას ფიქრობდი, სხვაგან გაგზავნა რომ დაუპირე? იმ სახლის გარდა ხომ ცხოვრებაში არაფერი უნახავს.

– ეს ხომ ერთადერთი რაციონალური გზაა, რომ ჭეშმარიტ არისტოკრატად თუ არა, ახალგაზრდა ლედის მსგავს არსებად მაინც ვაქციოთ!

შენ მაინც ხომ უნდა ხვდებოდე ჩემს ლოგიკას? – მოუჭრა უფროსმა ძმამ.

– ლოგიკა ყველაფერი არ არის!

– ასეთი რამ შენგან პირველად მესმის! – სავარძელში მჯდომი ტანსრული მამაკაცი წინ გადმოიხარა. მისი წელანდელი სიმშვიდე სადღაც გამქრალიყო. უზადო გამაშებიანი* ჩექმებით პარკეტის იატაკს დაეყრდნო და წამოიძახა: – რა გემართება? ასე რატომ ღელავ? რით განსხვავდება ჩვენი მეამბოხე გაქცეული დის პოვნა სხვა პატარა საქმეებისგან?

– იმით, რომ ის ჩვენი დაა!

– დიახ და თანაც ისეთი პატარა, რომ სულ ორჯერ გყავს ნანახი!

მაღალი, ქორისნაკვთებიანი თანამოსაუბრე, აქამდე მღელვარებას რომ ვერ მალავდა, წამიერად შედგა.

– ჩემთვის ერთი შეხვედრაც საკმარისია, – შემდეგ ისე, რომ ძმისთვის არც შეუხედავს, თით-

---

* გამაში – სქელი, წინდისებური უძირო ნაქსოვი, რომელსაც იცვამდნენ ფეხსაცმლის ზემოდან სითბოსათვის.

ქოს მისი ფიქრები მუხის პანელებით მოპირკეთებულ კედლებს მიღმა გაფრინდა და სულ სხვა სივრცესა და დროს ეწვიაო, მკვეთრი ხმის ტონი შეარბილა და ნელა თქვა: – როგორ მაგონებს საკუთარ თავს მის ასაკში. ჩემსავით გამოკვეთილი ცხვირი და ნიკაპი აქვს... ჩემსავით მოუქნელი და მოუხეშავია, საკუთარი ადგილი ვერსად უპოვია...

– რა სისულელეა! – შეაწყვეტინა უფროსმა ძმამ. – აბსურდია! ის ხომ *გოგონაა*, მისი სქესისთვის დამახასიათებელი სუსტი ინტელექტით. აუცილებლად სჭირდება დაცვა... შედარებაზე ლაპარაკიც კი წარმოუდგენელია... – თუმცა მერე, წარბშეკრულმა, ტონს დაუწია:

– წარსულში ქექვა არაფერს მოგვცემს. ახლა ერთადერთი გონივრული კითხვაა, როგორ ვიპოვოთ ის.

მაღალმა მამაკაცმა სივრცეს მიშტერებული მზერა დიდი ძალისხმევის შედეგად ისევ ძმაზე გადაიტანა და გამჭოლი ნაცრისფერი თვალებით მიაჩერდა. ცოტა ხნის შემდეგ კი მშვიდად თქვა:

– გეგმა უკვე მაქვს.

– ამაზე ნაკლებ პასუხს არც ველოდი. ხომ არ ინებებთ და გამიზიარებთ თქვენს გეგმას?

პასუხის ნაცვლად სიჩუმე ჩამოვარდა.

უფროსი ძმა ისევ სავარძლის ზურგს მიეყრდნო და მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმა.

– რა თქმა უნდა, ყველაფერს ისევ საიდუმლოდ ინახავ, როგორც ყოველთვის!

უმცროსმა ძმამ, რომელიც დიდი დეტექტივის სახელით იყო ცნობილი, მხრები აიჩეჩა, მანერები კი ისეთივე თავშეკავებული გაუხდა, როგორიც მის უფროს ძმას.

– ძვირფასო მაიკროფტ, ვფიქრობ, ახლა შენთვის რამის გამხელას აზრი არ აქვს. დახმარება თუ დამჭირდა, დამერწმუნე, აუცილებლად მოგმართავ.

– მაშინ აქ რისთვის მოხვედი?

– უპირველეს ყოვლისა, იმისთვის, რომ ჩემი აზრი მოგახსენო.

– დარწმუნებული ხარ, რომ ძველებურად გიჭრის გონება, ჩემო ძვირფასო შერლოკ? შენი მსჯელობა, ცოტა არ იყოს, არათანამიმდევრული და ემოციებს აყოლილი მეჩვენება. მგონი, ამ ამბავს ზედმეტად განიცდი.

– მირჩევნია, ასე ვიყო, ვიდრე საერთოდ ვერაფერს განვიცდიდე!

ამ სიტყვებით შერლოკ ჰოლმსმა ქუდს, ხელთათმანებსა და ხელჯოხს დაავლო ხელი და კარისკენ შებრუნდა.

– ღამე მშვიდობისა, მაიკროფტ!

– წარმატებას გისურვებ ჩანაფიქრის განხორციელებაში, ჩემო ძვირფასო შერლოკ. ღამე მშვიდობისა.

თავი პირველი

მსახურმა ბიჭმა ვერცხლის ლანგრით ბარათი შემომიტანა და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მასზე მიწერილი სახელი და გვარი ამოვიკითხე: *ექიმი ჯონ უოტსონი, მედიცინის დოქტორი.*

თვალებს არ ვუჯერებდი! სახელი და გვარი კიდევ ერთხელ ხმამაღლა წავიკითხე.

საოცარი იყო, რომ ამდენი ადამიანიდან ჩემი პირველი კლიენტი სწორედ ის აღმოჩნდა. მე ხომ ლონდონსა და, დარწმუნებული ვარ, მთელ მსოფლიოშიც 1889 წლის იანვარში პირველი მეცნიერ-პერდიტორის კაბინეტი დავაარსე.

მოიცა, მოიცა. ექიმი ჯონ უოტსონი? ჯონი საკმაოდ გავრცელებული სახელი იყო, მაგრამ უოტსონი და თანაც მედიცინის დოქტორი? არა, ნამდვილად ის უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც არ მინდოდა, დამეჯერებინა.

– ნუთუ მართლა ის არის, ვინც მე მგონია, ჯოდი?

– აბა, საიდან უნდა ვიცოდე, ქალბატონო?

– ჯოდი, ხომ გთხოვე, *მის მეშლი* დამიძახე-მეთქი? – უკვე მერამდენედ გავუმეორე მას, თუმცა მეტს რას უნდა ელოდე ისეთი ბიჭისგან, რომელსაც დედამ ჯოდპური (საეკლესიო წიგნში შეცდომით „ჯოდპერად“ რომ ჩაეწერათ) მხოლოდ იმიტომ დაარქვა, რომ საცხენოსნო შარვლის აღმნიშვნელი ეს სიტყვა მისთვის სასიამოვნოდ ჟღერდა. ჩემი მაქმანებითა და ფუშფუშა სახელოებით აღფრთოვანებული ჯოდი „ქალბატონს“ მეძახდა, მაგრამ ასე არ შეიძლებოდა, რადგან ასეთი მიმართვა არასასურველ ცნობისმოყვარეობას გამოიწვევდა. არც ის მინდოდა, მსახურ ბიჭს ჩემით აღფრთოვანება განელებოდა, რათა არ მიმხვდარიყო, რომ ჩვეულებრივი გოგონა ვიყავი, თანაც მასზე არც ისე უფროსი, მაგრამ ეს „ქალბატონოთი“ მიმართვაც როგორმე უნდა შეეწყვიტა.

შევეცადე, ჩემი მეტყველებისთვის სულ მცირე არისტოკრატული ელფერიც კი მომეშორებინა და ბიჭს მშვიდად ვკითხე:

– უკვე მოახსენე ჯენტლმენს, რომ დოქტორი რაგოსტინი აქ არ არის?

– დიახ, ქალბატონო. უფრო სწორად, დიახ, მის მეშლ.

რადგან მეცნიერი აუცილებლად მამაკაცი უნდა ყოფილიყო, გადავწყვიტე, მეცნიერ-პერდიტორის კაბინეტისთვის დოქტორ ლესლი რაგოსტინის სახელი მიმენიჭებინა. თუმცა ამ ღრმად პატივცემულ პიროვნებასთან შეხვედრა არავის ეწერა, რადგან ის სინამდვილეში მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში არსებობდა და კიდევ იმ აფიშებსა და სავიზიტო ბარათებზე, რომლებიც ყველგან ჩამოვარიგე, სადაც კი ხელი მიმიწვდებოდა: მაღაზიებში, ჯიხურებში, ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებსა და სალექციო დარბაზებში.

– მაშინ ექიმი უოტსონი ჩემს კაბინეტში შემოიყვანეთ და ვნახოთ, შევძლებ თუ არა მის დახმარებას.

ჯოდი მაშინვე ჩემი დავალების შესასრულებლად გაიქცა. ინტელექტზე რა მოგახსენოთ, მაგრამ გარეგნობით ნამდვილად გამოირჩეოდა: ღილებიან ფორმაში გამოწყობილს სახელოებსა და

შარვლის მთელ სიგრძეზე ლენტი გასდევდა, ხელებზე თეთრი ხელთათმანები ეკეთა, თავზე კი ზოლიანი ქუდი დაეკოსებინა, რომელიც ტორტის ნაჭერს მოგაგონებდათ. რატომაც არა? ფორმების უმეტესობა ხომ, ზოგადად, აბსურდულია.

როგორც კი ჯოდი ოთახიდან გავიდა, მაშინვე საწერ მაგიდასთან ხის სკამზე დავეშვი. მუხლები ისე მიცახცახებდა, რომ კაბის ქვეშ აბრეშუმის ქვედატანებსაც კი შრაშუნი გაუდიოდა.

არა, ასე არაფერი გამოვა! ღრმად ჩავისუნთქე, წამით თვალები დავხუჭე და გონებაში დედაჩემის სახე წარმოვიდგინე. მის გამოსახულებასთან ერთად გონებამ დედის ხმაც გააცოცხლა და ლამის ყურში ჩამესმა: *ენოლა, მარტოც ძალიან კარგად გაართმევ თავს*.

ამან სასურველი შედეგი გამოიღო. სრულებით დავმშვიდდი და სწორედ მაშინ გავახილე თვალები, როცა ჯოდის ექიმი უოტსონი სასტუმრო ოთახიდან, იგივე მოსაცდელიდან, ჩემთან შემოჰყავდა.

– ექიმო უოტსონ, მე დოქტორ რაგოსტინის მდივანი გახლავართ, მის აივი მეშლი, – წამოვდექი და სტუმარს ხელი გავუწოდე. ის ზუსტად ისეთი

იყო, როგორიც მისი ნაშრომებიდან წარმომედგინა: ძლიერი აღნაგობის, ოდნავ სრული, ნამდვილი ინგლისელი ჯენტლმენი, არც ისე მდიდარი, თუმცა უდავოდ განათლებული წრიდან, სიწითლისკენ მიდრეკილი სახითა და უზომოდ კეთილი თვალებით.

იმედი მქონდა, რომ ისიც, თავის მხრივ, იმ ადამიანად აღმიქვამდა, რომლადაც თავს წარმოვაჩენდი: ერთ ჩვეულებრივ დასაქმებულ გოგონად, რომელსაც გულზე გამობურცული ბროში დაებნია, ყურებზე არანაკლებ უგემოვნო საყურეები ჩამოეკიდა და, საერთოდაც, ბოლო მოდის (ფორმასავით აბსურდული) მიმბაძველობით, იაფფასიანი ზიზილ-პიპილებით მოკაზმულიყო. ქერა კულულები, რომლითაც მის მეშლი თავს ასე იწონებდა, ალბათ, ერთ დროს, ბავარიელ გლეხის ქალს ამშვენებდა. მიუხედავად ღირსეული გარეგნობისა, გამოცდილი თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ ეს გოგონა არისტოკრატი კი არა, მეუნაგირის ან, უკეთეს შემთხვევაში, მიკიტნის ქალიშვილი უნდა ყოფილიყო და მთავარ მიზნად გათხოვება დაესახა. თუ ზემოხსენებული „ბროშით“, ძაღლის საყელოს მსგავსი ყელსაბამით, ბაფთების სიმრავ-